პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

გიგლა გაბაიძე
ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს პროფესორი
კაკო გვარუციძე - სტუ-ს პროფესორი

საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება საწარმოო ინვესტირებისათვის და ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მისაღები პარამეტრების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი ინვესტიციებმა უნდა შეასრულონ. ცხადია ასეთი ქვეყნების (მ. შ. საქართველოს) ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია საკუთარი სახსრების მობილიზების სირთულისა და მის დეფიციტთან, რადგანაც ფაქტია, რომ მოსახლეობის დაბალი შემოსავლიანობის პირობებში დანაზოგები ან ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არსებობს, რაც იწვევს ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკლებობას ანუ საინვესტიციო რესურსების სიმცირეს. ამ სიტუაციაში მდგომარეობიდან გამოსვლა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან. თავის მხრივ, უცხოელი ინვესტორებისათვის კი მიმზიდველია ის ქვეყანა, სადაც მთავრობის მიერ ტარდება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და ამავე დროს არის პოლიტიკური სტაბილურობა.

ზოგადად, ინვესტიციების ცნების ქვეშ იგულისხმება კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. საქართველოს კანონით - „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო საგენტოს შესახებ", ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოებში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით კი ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდა და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ინვესტიციები საჭიროებს დანაზოგებს, თუმცა ყველა სახის დანაზოგი ინვესტიციის სტატუსს ვერ ღებულობს. ინვესტიციებად გადაიქცევა ის დანაზოგები, რომლებსაც პირდაპირ თუ ირიბად იყენებენ მომავალში წარმოების გასაფართოებლად და დამატებითი შემოსავლის მისაღებად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, თანამედროვე გაგებით, ეს არის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა და მიმდინარე პერიოდში გვევლინება ეკონომიკის გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალად და დამახასიათებელ თავისებურებად.

თავის მხრივ, ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ძალზე ტევადი ცნებაა. იგი მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირების და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს, კერძოდ:

1. სამეწარმეო საქმიანობაში ჩადებულ რესურსებსა და ფასეულობებს, სადაც ინვესტიციები შეიძლება შემდეგი სახით განხორციელდეს:

ა) უძრავი და მოძრავი ქონება (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და მატერიალური ფასეულობები);

ბ) ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, კრედიტები, აქციები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები;

გ) საავტორო უფლებებიდან გამომდინარე

ქონებრივი უფლებები, ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობები;

დ) მიწით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებები, აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები.

2. რესურსების დაბანდებით მოცულობისა და დინამიკის წარმართველი შემოსავლები. [3]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის გადწყვეტილების მიღება ან მასზე უარის თქმა დამოკიდებულია სხვადსხვა ფაქტორებზე, რომლებსაც ძირითადში აერთიანებენ სამ ჯგუფში:

1. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფაქტორები;

2. ეკონომიკური ფაქტორები;

3. ბიზნესის კეთების ხელშემწყობი ღონისძიებების ფაქტორები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და განთავსება მნიშვნელოვანია ყოველი ქვეყნისათვის. ამ მხრივ ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყნის ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო ბაზრებთან კავშირი, არსებული აქტივების ინოვაციური შესაძლებლობები, უახლესი ტექნოლოგიები და სხვა.

უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებენ როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები ასევე კერძო კომპანიები და საწარმოები. სახსრების დაბანდების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ისეთი დაბანდებაა, რომლის დროსაც უცხოელი ინვესტორი რეზიდენტი ქვეყნის კომპანიაში იძენს კონტროლის უფლებას. ასეთი ტიპის ინვესტიციები მოიცავს დიდი რაოდენობის თანხებს, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე. რაც შეეხება პორტფელურ ინვესტიციებს, ესაა ფასიანი ქაღალდების შეძენა, რომელიც ინვესტორს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის უფლებას არ აძლევს. მათ ხშირად უწოდებენ ცხელ ფულს, რომელიც მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყონებლივ ტოვებს ამ ქვეყანას, ამიტომ პორტფელური ინვესტიციები მოკლევადიანი ინვესტიციებია და კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება. თანამედროვე პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც უცხო სახელმწიფოები, კომპანიები და საწარმოები ნერგავენ ინოვაციებს და ახალ ტექნოლოგიებს მიმღები ქვეყნის საწარმოებში, ან ახდენენ მათ მოდერნიზაციას. სხვა მხრივ, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ვერ განვითარდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გამოყენების გარეშე.

ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინვესტირება მოტივაციის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით ინვესტიციების კლასიფიკაციისას გამოყოფენ სამ ძირითად მოტივს:

1. ბუნებრივ რესურსებძე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციები (ნედლეული
და პირველადი საქონელი);

2. უცხოურ ბაზარზე ორიენტირებული პუიები (ბაზრის სიდიდე და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ბაზრის ზრდის პერსპექტივა, რეგიონულ და მესამე ქვეყნის ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, მომხმარებელთა კულტურა და გემოვნება, ბაზრის სტრუქტურა-კონცენტრაცია, ფასები და სხვა);

3. ეფექტიანობაზე ორიენტირებული პუი-ები (იაფი მუშახელი და კვალიფიციური კადრები, წარმოების ხარჯები და საგადასახადო პოლიტიკა).

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენს გავლენას. საყოველთაოდ არის მიჩნეული, რომ პროდუქტიულობის და შესაბამისად, პროდუქციის წარმოების ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რაც გარკვეული ზომით დასაქმებას და მოსახლეობის ზრდას მოაქვს. მავე დროს ბიზნესის კეთების სიადვილე ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების (მეწარმეობის) განვითარებას, ხოლო ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო რაც 2009 წელთან შედარებით 458.8 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 1.7-ჯერ მეტია. 2012-2013 წლებში პირდაპირმა უცხოურმა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში მთავარ როლს თამაშობს.

რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს კონკურენტუნარიანობის დონე, როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნესგარემოს ხარისხის მიხედვით არცთუ ისე სახარბიელოა? ცხადია საქართველოს ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, ამიტომაც მან ყოფილი სსრკ ქვეყნებიდან ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ღია პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, თუმცა, გეგმიანი ეკონომიკური ურთიერთობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ საქართველოს

გარკვეული დრო დასჭირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ამ მიმართულებით უმნიშვნელო, მაგრამ წინსვლა დაიწყო 1996 წლის შემდგომ პერიოდში და 1998 წელს 1997 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გაიზარდა 22.8 მლნ დოლარით ანუ 10.9 პროცენტით (242.5 მლნ აშშ დოლარიდან 265.3 მლნ აშშ დოლარამდე). უცხოური კაპიტალის ზრდა ძირითადად განაპირობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. 2003 წლის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და ბაზარზე ინვესტორთა შემოსვლის ბარიერების მოხსნის თვალსაზრისით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, ამ მიმართულებით დადებითი ტენდეციები გამოიკვეთა 2005-2007 წლებში (იხილეთ ცხრილი 1) და საქართველოს ეკონომიკაში პუი-ს ყველაზე დიდი ნაკადების შემოდინება დაფიქსირდა 2007 წელს 2014.8 მლნ აშშ დოლარის სახით, რაც 19.8%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. თუმცა 2008 წელს საქართველოს ეკონომიკამ ორი სერიოზული დარტყმა მიიღო - რუსეთ-საქართველოს ომი და გლობალური ეკონომიკური კრიზისი. ამ ორმა ფაქტორმა ნეგატიურად იმოქმედა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა იყო. ფაქტია ასეთ პირობებში ძალზედ რთულია მოიპოვო უცხოელი ინვესტორების ნდობა, რომ მოახდინონ კაპიტალის დაბანდება.

ამ ვითარებაში ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი კლება ფიქსირდება 2008 წლის მესამე კვარტლიდან, რაც გამოწვეული იყო საომარი სიტუაციით და იგი მეორე კვარტლის 605.4 მლნ. აშშ დოლარიდან მესამე კვარტალში დავიდა 134.7 მლნ. აშშ დოლარამდე ანუ შემცირდა 4.5-ჯერ. ვითარება არც 2009 წლის განმავლობაში გაუმჯობესებულა და ამ წელს მან შეადგინა 658.4 მლნ. აშშ დოლარი, ნაცვლად 2008 წლის 1564.0 მლნ. აშშ დოლარისა (შემცირდა 2.4-ჯერ) და 2007 წლის 2014.8 მლნ. აშშ დოლარისა (შემცირდა 3.1-ჯერ). 2010-2011 წლებში ქვეყანაში პირდაპირმა უცხოურმა

ინვესტიციებმა იწყო ზრდა და მან 2011 წელს შეადგინა 1117.2 მლნ. აშშ დოლარი, რაც 2009 წელთან შედარებით 458.8 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 1.7-ჯერ მეტია. 2012-2013 წლებში პირდაპირმა

ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი) [5]

წლები	სულ	1 კვარტ.	11 კვარტ.	111 კვარტ.	IV კვარტ.
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	914.4	226.2	232.4	238.7	217.1
2014	259.9	259.9	-	-	-

უცხოურმა ინვესტიციებმა 911.6 მლნ. აშშ დოლარი და 914.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წელთან შედარებით 202.8 მლნ აშშ დოლარით ანუ 1.2-ჯერ ნაკლებია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციების შემცირება გამოიწვია ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ კი არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლამ და ე. წ. „კოაბიტაციის" პირობებში სახელმწიფო მმართველობის განხორციელებამ.

2008 წლის მეორე ნახევარიდან საქართველოში შექმნილი რთული სიტუაცია მნიშვნელოვნად განმუხტა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კრედიტებისა და გრანტების სახით გაწეულმა დახმარებამ, რომელიც მიმართული იქნა მოსალოდნელი საბიუჯეტო დისბალანსის დაფარვისა და საფინანსო სისტემისადმი ნდობის გამყარებისაკენ. ასევე სხვა ისეთი მნიშვნელოვანი სფეროებისაკენ, როგორიცაა იძულებით გადაადგილებული პირების განსახლება, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და სხვა.

როდესაც სხვადსხვა დონორი ორგანიზაციის მიერ გაწეულმა დახმარებამ, რომელიც ქვეყანას კრიზისის წლებში მიეცა, შემცირება დაიწყო, საქართველოს ხელისუფლება შეუდგა რიგი რეფორმის გატარებას, რათა ეკონომიკას რეცესიიდან გამოსვლაში დახმარებოდა. ამ რეფორმებმა სასურველი შედეგი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სფეროში მოიტანა, მაგრამ ძირითადი პრობლემები (უმუშევრობის მაღალი დონე, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა სფეროების ნელი ზრდა და ა. შ.) ქვეყანაში გადაუჭრელი დარჩა. ამიტომ, საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის ეკონომიკა ისევ დიდწილად არის დამოკიდებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებასა და უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების ფულად გზავნილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავრობის მთავარ გამოწვევად რჩება. ქვეყანა იბრძვის იმისათვის, რომ პირაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კრიზისის წინა დონეს (2007წ.) მიაღწიოს, თუმცა ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი და შესამჩნევი ცვლილებები ამ მიმართულებით არ შეინიშნება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ყოფილმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, სადაც ხელსაყრელ ბიზნესკლიმატს, სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას და ამავე დროს გადასახადებისაგან განთავისუფლებას სთავაზობდნენ. ამ მიზნით შეიქმნა სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფოთში, ქუთაისსა და თბილისში, თუმცა მათი გავლენა ქვეყნის მშპ-ის ზრდისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ჯერ-ჯერობით შეუმჩნეველი და ნაკლებად ეფექტიანია.

2009 წლის განმავლობაში გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისის შედეგად საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი კლება აღინიშნა (იხ. ცხრილი 2.). ვითარება მნიშვნელოვნად არც 2010 წლისათვის შეცვლილა და ამ წელს 814.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ ინვესტიციიდან 215.1 მლნ აშშ დოლარი ანუ მთელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26.4% ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში მიედინება. ინვესტორებისათვის წლების განმავლობაში ყველაზე ნაკლებ მიმზ-



დიაგრამა 1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით.

ცხრილი 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი) [5]

	სექტორების დასახელება	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	
								მლნ.აშშ დოლარი	% ჯამთან
	სულ მათ შორის:	**2014.8**	**1564.0**	**658.4**	**814.5**	**1117.2**	**911.6**	**914.4**	**100.0**
1.	სოფლის მეურნ. და თევზჭერა	15.5	7.8	22.3	8.6	14.9	16.1	31.9	3.5
2.	სამთო მოპოვ. მრეწველობა	86.2	18.1	15.0	53.4	40.2	4.9	35.5	3.9
3.	დამამუშავებელი მრეწველობა	312.1	188.3	124.8	175.3	120.3	167.9	123.9	13.5
4.	ენერგეტიკა	362.6	294.9	-2.1	21.9	204.0	179.4	198.0	21.6
5.	სასტუმროები და რესტორნები	242.1	181.9	37.5	17.1	22.7	17.7	-13.7	-
6.	ტრანსპორტი და კავშირგაბმულ.	416.7	422.7	98.4	215.1	126.5	72.8	138.4	15.1
7.	მშენებლობა	171.9	56.7	105.2	4.7	48.1	41.8	58.7	6.4
8.	საფინანსო სექტორი	157.7	10.9	49.7	107.4	167.7	162.6	169.9	18.5
9.	დანარჩენი სექტ.	250.0	382.7	207.6	211.0	372.8	248.4	158.1	17.3

იდეელ სფეროდ სოფლის მეურნეობა და თევზჭერა წარმოადგენს. 2008 წლისათვის მასზე მოდის მთელი ინვესტიციების 0.5%, 2010 წლისათვის-1.0%, ხოლო 2013 წლისათვის კი 3.5%. მართალია 2010 წლის შემდგომ პერიოდში ამ სექტორში ინვესტიციების მზარდი დინამიკა შეინიშნება (8.6 მლნ აშშ დოლარი 2010 წელს, 14.9, 16.1 და 31.9 მლნ აშშ დოლარი მომდევნო წლებში), მაგრამ საჭირო ამ სექტორის მეტი პოპულარიზაცა და მისი გაუმჯობესება, რათა ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს. ეს საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ ქვეყნის მოსახლეების სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილება მხოლოდ 15%-თაა უზრუნველყოფილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციით.

როგორც ცხრილი 2-ის და დიაგრამა 1-ის მონაცემებიდანაც ჩანს, ინვესტორებისათვის მიმზიდველ სექტორად ენერგეტიკა-21.6%, საფი-

ნანსო სექტორი-18.5%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა–15,1% და დამამუშავებელი მრეწველობა-13.5% წარმოადგენს.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც ინვესტიციების შემოდინებით მასპინძელი ქვეყანი იძენს თანამედროვე მენეჯერულ ჩვევებს და მოწინავე ტექნოლოგიებს. ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ადგილობრივი ბაზრის არასაკმარისი ტევადობით ხასიათდება, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად უცხოელი ინვესტორების დაინტერესება შესაძლებელია იაფი რესურსების არსებობით. ქვეყნისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართული იქნას ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყოფს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც პუი-ების დაბანდების წახალისება ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის ზრდას, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ბალანსის დადებით სალდოს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და დიდი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოზიდვა. საჭიროა გარკვეული პრივილეგიების დაწესება მსხვილი ინვესტორებისათვის და განსაკუთრებით მათთვის ვინც კაპიტალს დააბანდებენ ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში და შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. საქართველომ, ისე როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა (განვითარებადმა) ქვეყანამ, განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მოახდინოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და მოიპოვოს შეფარდებითი უპირატესობა არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ მაღალტექნოლოგიურ და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა გლობალურ ბაზარზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი- „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ", თბილისი 2003.
2. საქართველოს კანონი- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", თბილისი 1996.
3. ქოქიაური ლ. „საქართველოს საინვესტიციო კრიზისის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები". საქართველოს მეცნიერებატა აკადემიის ბიულეტენი №1, თბილისი 2002.
4. ქოქიაური ლ. „საინვესტიციო პოლიტიკის პრირიტეტული მიმართულებები საქართველოში", ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა" №6, თბილისი 2009.
5. WWW. GeoStat.ge სტატისტიკური ინფორმაცია- საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

THE ROLE OF THE DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN THE COUNTRY'S ECONOMIC DEVELOPMENT

GIGLA GABAIDZE, KAKO GVARUTSIDZE
professors of GTU

Attraction of the direct foreign investment is one of the significant conditions in the country's economic development and its effective functioning. It is mainly prioritized for Georgian economics; that is why the government of the country, one of the first countries from the former Soviet Union countries, carried out open policy towards the foreign investments.

Regards of the attraction of the direct foreign investment, the country made minor steps in post 1996 period and the biggest flow of it was fixed in 2007 which amounted to 2014.8 Million USD. From the third quarter of 2008, according to the state of War in the country there is detected its reduction and in 2009 there was attracted 658.4 Million USD equal direct foreign investment. (It is 3.06 times less than in 2007). From 2010 there is detected its increase in the country and for 2013 it amounted to 914.4 Million USD.

For today's condition, attraction and placement of the direct foreign investment remains as a main challenge for the government of Georgia. The country fights that it would gain the level of 2007.